

რეკომენდაცია მოცვის ნედლად შესანახი მაცივრის მოწყობის შესახებ

მაცივარის კედლები და ტიხარები უნდა წარმოადგენდეს თერმოსაიზოლაციო შემომფარგვლელ მასალას (ყველაზე გავრცელებულია სენდვიჩ პანელები 80-100მმ). მაცივარში შესასვლელი და საკნებს შორის კარები უნდა უზრუნველყოფდეს ჰერმეტიკობას.

მოცვის შესანახ მაცივარში არ უნდა შევიდეს გადამწიფებული ან დაუმწიფებელი პროდუქცია.

არასასურველია ასევე წვიმის დროს მოკრეფილი მოსავლის შენახვა.

შენახული პროდუქტის ხარისხის შესანარჩუნებლად, მაცივარში შესანახად სასურველია შევიდეს უკვე დახარისხებული პროდუქცია.

მაცივარში სასურველია ცალკეული დამოუკიდებელი საკნების არსებობა, ანდა შესაძლებელია

მოსავლის შენახვა ერთ სივრცეში ცალკეულ კონტეინერებში, რომლებშიც შესაძლებელი იქნება კონტროლირებადი აირის შექმნა.

სამაცივრე აგრეგატები შერჩეული უნდა იქნას გასაცივებელი სივრცის მოცულობისა და შესანახი პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

მაცივარი ან მისი ცალკეული განყოფილებები აღჭურვილი უნდა იყოს დამატენიანებელი მოწყობილობით.

კამერებში ტენიანობა უნდა იყოს 90-დან 95%-მდე, რაც საკმაოდ მისაღებია მოცვისთვის.

კონტროლირებადი აირის შემთხვევაში ნახშირორჟანგის შემცველობა უნდა იყოს 20-25%-ის ფარგლებში, ხოლო ჟანგბადი - მინიმუმ 8-10%.

მაცივრის განთავსების ტერიტორია სასურველია უზრუნველყოფდეს სატვირთო ტრანსპორტის გამოყენების შესაძლებლობას.